

# კატეგორიული და არაკატეგორიული უარყოფა ქართულში

შორენა ნოზაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

*გამოყენებითი ენათმეცნიერება*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ მახაროზლიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2016 წელი

## განაცხადი

„როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ანციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

შორენა ნოზაძე

2016 წელი

## აბსტრაქტი

ნებისმიერ ენას აქვს უნარი, გამოხატოს დამოკიდებულება თუ ურთიერთობა ორ ადამიანს შორის. ამას იგი სხვადასხვა საშუალებებით ახერხებს: მიმიკით, ქესტიკულაციით, ინტონაციით, ხმის ტემპრით და, რა თქმა უნდა, სიტყვების მეშვეობით. მათი დახმარებით ადამიანი ხვდება ადრესანტის განწყობას, განზრახვასა თუ სურვილს. ენა ამისთვის ქმნის შესაბამის ლექსიკურ ერთეულებს, რომელთა დახმარებითაც ცდილობს აშკარად ან ორაზროვნად გასაგები გახადოს მთქმელის მოქმედების მოტივი და მიზეზი. უარყოფითი ან დადებითი შინაარსის გამოხატვა ყველა ენას თავისებურად შეუძლია: იყენებს ნაწილაკებს, სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს ნაწილაკის ფუნქციით, ცირკუმფიქსებს. ზოგჯერ თვითონ სიტყვის სემანტიკა მიგვითითებს უარყოფითობას თუ დადებითობას.

კვლევის მიზანი გახლდათ უარყოფის გამოვლენა ქართული ენის მორფო - სინტაქსურ და დისკურსის დონეზე. კვლევა სიახლეს წარმოადგენს. ქართულ სინამდვილეში მას მხოლოდ რამდენიმე მეცნიერი შეეხო. სიახლეა იმ თავლსაზრისითაც, რომ წყაროებად ილიაუნისა და ეროვნული კორპუსული ბაზები გამოვიყენეთ. ძირითად მიზანს კი წარმოადგენა კატეგორიული და არაკატეგორიული უარყოფის ერთმანეთისაგან გამიჯვნა და დიფერენცირება. გამოვიყენეთ შერჩევითი და აღწერითი მეთოდი, რომელმაც საშუალება მოგვცა მოძიებული ტექსტებიდან გამოგვეყო აღნიშნული მახასიათებლები. კვლევის პარალელურად გამოიკვეთა სხვა ფაქტორებიც, რომლებიც სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს.

შედეგებმა ცხადყო, რომ უარყოფა მხოლოდ აფიქსაციით არ იწარმოება, მას ხელს უწყობს სხვა ლექსიკური ერთეულებიც, რომელთაც აღნიშნული ფუნქცია, ჩვეულებისამებრ, არ გააჩნიათ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი წინადადება უარყოფის გამოხატვას ნაწილაკების დაუხმარებლადაც ახერხებს. გამოვლინდა უარყოფის კასკადი - სამმაგი და ოთხმაგი უარყოფა.

უარყოფის საფუძვლიანი შესწავლით შესაძლებელი გახდება ამ პროცესში ჩართული ყველა ერთეულის განსხვავებული კუთხით წარმოჩენა და ახალი ფუნქციების დადგენა.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** უარყოფა, ნაწილაკი, კატეგორიული და არაკატეგორიული გამოხატვა;